

საქართველო

საპარტიზოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორბანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

პირველი რეკორდი სპორტის სასახლეში

ორი პატარა პერკულესის — რ. ჩიმიშვიანისა და ი. ბერგერის გულწრფელი ურთიერთ პატივისცემის გამოხატულებამ თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ძალოსანთა ნაკრები გუნდების მატჩზე, გამოკვეთა ამ ქვეყნების ათლეტთა შერევის არსი, რომელსაც სპორტულმა საზოგადოებრამ მშვენიერების მატჩი შეარქვა.

ამ შეჯიბრებას განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ ძალოსნური სპორტის მოყვარულნი, რადგან მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ფაქტობრივად დამარცხების შემდეგ სტატუსებს აქ ჰქონდათ უკანასკნელი შანსი გამარჯვებისა.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა — უმჩატესი წონის ძალოსანმა ჩ. ვინჩიმ აღრევე გაითვალისწინა თავისი მოწინააღმდეგის ა. ვახონინის სიძლიერე აკრაში და სიფრთხილით შეუდგა კილოგრამების დაგროვებას პირველ ორ მოძრაობაში. ტექნიკური ჩანაფიქრი სწორი იყო. პირველი მოძრაობის სამი ცდის შემდეგ ჩ. ვინჩიმ 7,5 კილოგრამით გაუსწორა მეტოქეს — 105 კგ. 97,5 კილოგრამი დაძლია ორივემ ატაცის პირველ ცდაზე. შტანგის სიმძიმე 5 კილოგრამით გაიზარდა და იგი დაუძლეველი აღმოჩნდა ა. ვახონინისათვის. მხოლოდ მე-სამე ცდაზე დანებდა შტანგა იტალიური წარმოშობის ამერიკელს, რომელმაც პირველად გადაწერით დაძლია შესწორა ღმერთს და შემდეგ თავის დაკრებით გადაუხადა მძლიერობა თბილისელ გულშემატკივრებს მისი დახვეწილი მოძრაობის ობიექტური შეფასებისათვის.

ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა აკრაში — ა. ვახონინმა თავისი შესაძლებლობანი ამჯერად მაქსიმალურად გამოავლინა და ერთი კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი — 135 კგ. ჩ. ვინჩიმ 5 კილოგრამით ნაკლები შედეგი აჩვენა, მაგრამ სამჭიდში 33 კგ. კილოგრამის დაგროვებით პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

მომდევნო წონითი კატეგორიის ცნობილი ძალოსნების; — რ. ჩიმიშვიანისა და ი. ბერგერის ბრძოლა ორი ხელით აკრაში ამერიკელის გამარჯვებით დამთავრდა —

110 კგ. რ. ჩიმიშვიანმა 7,5 კილოგრამი წაავა, მაგრამ ატაცში ამერიკელზე უკეთესი შედეგი (102,5) აჩვენა და სხვაობა 2,5 კილოგრამით შეამცირა.

მესამე მოძრაობაში რ. ჩიმიშვიანმა 142,5 კილოგრამი დაძლია, რისთვისაც იგი თაფულებით დაავილდოვს გულშემატკივრებმა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე შედეგი გაიმეორა ი. ბერგერმაც და მყურებელთა ტაშით გრიადი საბჭოთა ძალოსანმა თიფული სამჭიდში გამარჯვებულ (352,5 კგ) ამერიკელს გადასცა.

მსუბუქი და ქვესაშუალო წონის ძალოსნებმა ა. მაისინმა და ნ. კოსტილევა, რომლებსაც მოწინააღმდეგეები არ ჰყავდათ, უბრძოლველად გაინადგეს პირველი ადგილები შესაბამისად 380 კგ და 397,5 კგ.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის წინ ამერიკელ ძალოსანთა მწვრთნელმა ბ. გოფმანმა განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში მას სწამს საშუალო წონის მხოლოდ სამი ძალოსანი — პლიუტეფელდერი, კონო და რიკე. კონოს დუბლიორს — ლ. რიკეს კარგი ტექნიკის მოძრაობები (ატაცი, აკრა) აქვს, მაგრამ ამჯერად სწორედ აკრაში მიიღო მან „0“ შეფასება და დაკარგა პირველობის შანსი. რომელიც სინამდვილედ აკრია ვ. ლიხანმა — 420 კგ. (140+120+160).

სხელის სილამაზის კონკურსის — „მისტერ უნივერსლის“ მონაწილეს — 22 წლის ბილ მარჩს მარათლე შეესანიშნავე აღნაგობა და კუნთოვრი მსაგაფია, მაგრამ იგი ჭერჭერობით მხოლოდ კარგი ხარისხის დაუმუშავებელი ნედლი მასალაა, ტექნიკურად საგრძნობლად მოუშაბდებელია და მხოლოდ სათანადო წვრთნის გავლის შემდეგ შეუძლია იფიქროს დიდ მომავალზე. ბილ მარჩმა 20 კილოგრამი წაავა ქვემძიმე წონის სპორტსმენ ვ. სტეპანოვთან, რომელმაც 442,5 კგ დააგროვა.

საბჭოთა ძალოსანმა ი. ვილკოვიჩმა 160 კილოგრამი აკრა და 12,5 კილოგრამით ჩამოიტოვა ამერიკელის ს. პენრი (მძიმე წონა), რომელმაც სამაგიეროდ ატაცში მოუგო

მას 10 კილოგრამი (მისი შედეგია 140 კგ) და სხვაობა 2,5 კილოგრამად დაიყვანა.

სამჭიდის წამი ვათანაბრდა აკრის შემდეგ — 460 კგ და გამარჯვება 3 კილოგრამით ნაკლები წონის ამერიკელ სპორტსმენს მიეკუთვნა.

მატჩი დამთავრდა საბჭოთა ძალოსნების გამარჯვებით — 4:3.

შეჯიბრების დასასრულს „მისტერ უნივერსლის“ კონკურსის მონაწილედმა ჩ. ვინჩიმ და ბ. მარჩმა დაამსწრეთ აჩვენეს ის მოძრაობანი, რომლებმაც „მისტერ უნივერსლის“ კონკურსზე გამარჯვება მოუტანა.

ა. ზაუზაშვილი, შეჯიბრების მთავარი მხაჩი, ბ. სამოსონაძე.

სურათი: ქვეითი (მარცხნივ)

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია შეძახილებით ამხნეიებს შეჯიბრებაში მონაწილე თანამემამულეებს: (მარცხნივ) — რ. ჩიმიშვიანი გამარჯვებას ულოცავს ი. ბერგერს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



რეკორდების დამტკიცება

ი. გაგარინის მიერ „ვოსტოკით“ კოსმოსში მაქსიმალური სიმაღლასა და ფრენის სიშორის მანქანებზე საავიაციო სპორტის საკავშირო ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის რეკორდებზე და მათი მსოფლიო რეკორდებზე დასამტკიცებლად მასალაზე გაუგზავნა ავიახარტის საერთაშორისო ფედერაციის, პარიზში. როგორც პარიზიდან მოუღლი ცნობა იტყობინება, აქ გაიმართა ვასპორტის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური სხდომა, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა საბჭოთა კოსმონავტის, ი. გაგარინის მიერ მაქსიმალური სიმაღლის დასაქრობისა და ფრენის სიშორის (სოფლიო რეკორდები).

ლიდერი შეიძველა

კალათბურთში 1961 წლის პირველობაზე ქალთა შორის პირველსავე მატჩიდან ლიდერობა ხელთ იგდო რიგის ტრამაი-ტროლიბუსების ტრენის გუნდმა, მაგრამ ლენინგრადის არმიელთა გუნდთან პირველი წრის უკანასკნელ შეხვედრაში სუსტად ითამაშა და დამარცხდა ანგარიშით 44:53. ამ გამარჯვებით ლენინგრადელი სპორტსმენები სათავეში ჩაუდგნენ გათამაშებას, მესამე ადგილზეა

ლენინგრადის „ბურვესტნიკი“, რომელმაც უკანასკნელ მატჩში მოუგო მოსკოვის „დინამოს“ — 57:40.

მოსკოვში გაიმართა ვაქთა გუნდების კალენდარული მატჩი. ითამაშეს ცსკა-მ და ლენინგრადის „ბურვესტნიკმა“, ორივე ტიპში ინიციატივა მოსკოველი კალათბურთელების მხარეზე იყო და მათ მოიგეს კიდევ შეხვედრა — 94:60.


შეგობრული შარბები ა. რევაზისა.



რ. 30560



ბ. მარჩი



ი. ბერგერი



ჩვენი რესპუბლიკის მშრომლებმა — სახალხო დოქტორისა და მატერიალური კეთილდღეობის შემქმნელებმა, მეცნიერებისა და კულტურის მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლებმა ახალი შრომითი ვალდებულებები აიღეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის უდიდესი მოვლენის — პარტიის XXII ყრილობის შეასხვედრად.

ამ ქვეშაობრივად საერთო-სახალხო მოძრაობას ფეხს აუწყო ქართველ სპორტსმენთა მონოლითურმა კოლექტივებმა, რომელმაც თავის უპირველეს და ძირითად მიზნად დაისახა — ყრილობის გახსნის დღისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში არ იყოს არც ერთი კალენდრის ძირითადი პრინციპი — შევიძინოთ კოლექტივისა და შემდეგ კოლექტივებს შორის, უცხო არ არის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული მუშაკებისათვის.

თი ორგანიზაცია ფიზკულტურული კოლექტივის გარეშე, არც ერთი კოლექტივი — სექციური მუშაობის გარეშე.

ამ რთულ და საპასუხისმგებლო ვალდებულებების გადაწყვეტის გზებზე ილაპარაკა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სპორტკავშირთა თავმჯდომარეების თათბირზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ანხ. გ. ვ. სიხარულიძემ.

მომხსენებელმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ახალი საკავშირო კლასიფიკაციისა და მისი მიხედვით შედგენილი სპორტული კალენდრის მნიშვნელობაზე აღებული ვალდებულებათა გადაწყვეტის საკითხებზე. დამსწრეებს მოაგონა ისიც, რომ ამ

კალენდრის ძირითადი პრინციპი — შევიძინოთ კოლექტივისა და შემდეგ კოლექტივებს შორის, უცხო არ არის ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული მუშაკებისათვის.

— ძნელია საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის გარდასავალი დროის შენარჩუნება, — აღნიშნა ანხ. გ. ვ. სიხარულიძემ, თუ ჩვენ არ გვაქვს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის რომელიმე უბანზე, ამის საილუსტრაციოდ კი თბილისის სპორტკავშირის მაგალითიც გამოგვხატა: დედაქალაქმა, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი სპორტული მიღწევებით, დროსა და დროსა ქუთაისის სპორტკავშირს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩამორჩებოდა მას წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურული კოლექტივების შექმნაში.

კოლექტივების შექმნა-გადიგება მთელი ჩვენი ფიზკულტურული მუშაობის საფუძველია და მის გასამტკიცებლად დღემდე არსებული მრავალი თითქოს და უმნიშვნელო ხარვეზის გამოსწორება საჭიროა.

მომხსენებელმა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემადგენლებელ მიზეზებად დასახელა: საზოგადოებრივი კადრების ჭარბად არა სათანადოდ გამოყენება, ნაკისრ სოც-ვალდებულებათა შესრულების კონტროლის მოღუწება, მწვრთნელთა გარკვეული ნაწილის ავადმჯობურ დონის ერთ წერტილზე გაყინვა, სპორტული ბაზების არარაციონალურად გამოყენება, ხარჯთაღრიცხვის წესების უხეშო დარღვევები და სხვ.

ამეფ და ფიზკულტურული მუშაობის კიდევ ბევრ სხვა საკითხსთან დაკავშირებით იმსჯელებს კამათში გამოსულმა ს. ხურციანმა (დუშეთი), ს. ხელაშვილმა (სამგორი), ა. აბაშიძემ (სამტრედიო), მ. თარგამა (ზარზომა), დ. თვინაძემ (ბათუმის რაიონი) და სხვებმა, რომელთა საერთო აზრი იყო ის, რომ საქართველოს ფიზკულტურულ არმიას შეუძლია XXII ყრილობის გახსნისათვის შეასრულოს ფიზკულტურული კოლექტივების შექმნაზე აღებული ვალდებულებანი ყველა ორგანიზაციაში და ერთი წლით ადრე შეასრულოს შედგენილი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

ლაპარაკობენ ბათუმელი გენაკობელები



ყ რ ი ლ ბ ი ს უ ს ა ს უ ა რ ე ა ჯ

ჩემი მიზანი

სპორტსადმი თავიდანვე დიდი ინტერესი და სიყვარული მქონდა. პირველად გამოიტაცა ტანვარჯიშმა. მაშინ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი.

გავიდა ერთი წელი. ჩემი ამხანაგების უმეტესობა კრივით დაინტერესდა. მე კი მოკრივე წარმომედგინა ვოლიათ აღამიანად და მეგონა, უბრალო აღამიანი გერასოდავს შეიძლება სპორტის ამ სახეობაში თავის გამოჩენას, მაგრამ როცა ჩემს ამხანაგებს ვუშვარდო, ახალი თანდათან მეცვლდებოდა.

ბოლო ვარ მათზე ნაკლები? — შევეკითხე ჩემს თავს და მეც დავიწყე კრივში ვარჯიში.

ერთი წელიც და, 1956 წელს ჩემს წონაში აჭარბეს ჩემიონი გავსდი.


სამჯერ ვიყავი საქართველოს პირად პირველობაზე ფინალისტი და სამივეჯერ წავეგე ბრძოლა. მაგრამ გული არ გამტეხია — მეჩქარებოდა მათუში ჩასვლა, მაშინვე ვიწყებდი მორიგი შეჯიბრებისათვის მზადებას.

გვარჯიშობ კვირაში ოთხჯერ. კვირადღე კი განუთვნილი მაქვს ფიზიკური მომზადებისათვის — დილით ტანვარჯიში, შემდეგ პანტოლით ვარჯიში, ბოლოს მივიღებარ ზღვაზე.

ორიოდე სიტყვა ჩემი საწარმო-სადმი დიდი და, ასე ვთქვათ, ტრადიციული სიყვარულის შესახებ. 1958 წელს დავამთავრე საშუალო სკოლა. ჩემი დედამამ მუშაობდნენ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში და მათი რჩევით სიმწიფის ატესტატით მეც ამ ქარხანაში დავიწყე მუშაობა.

ახლა ჩემი უახლოესი, უმაღლესი მიზანია პარტიის ყრილობას შევხვედრე მაღალი შრომითი მაჩვენებლებით და ამასთან, მოვიპოვო წარმატებები სპორტშიც. ამის კონკრეტულ გზად მიმანია: პირველ-თანრიგისობიდან მივიღწიო სპორტის ოსტატის საპატიო წოდებას.

ზ. ჩიქოვანი,
მეთოხე საამქროს ზეინკალი



საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტუნ დიდგენს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურენი და მათთან ერთად — საწარმოს ფიზკულტურულელებიც ქარხნის ფიზკულტურულმა კოლექტივმა

ვალდებულება აიღო პარტიის ყრილობის გახსნისათვის მოამზადოს: მთი I საფეხურის 18 ნიშნისანი, II საფეხურის 29 ნიშნისანი, 6 პირველი, 16 მეორე, 70 მესამე, 15 მოზარდთა თანრიგისანი, საამქროთა 10 ფიზკულტურული ორ-

განიზატორი, 22 საზოგადოებრივი მწვრთნელი, 10 საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი, 9 საზოგადოებრივი მხაჩი; ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ ვალდებულა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრად გააერთიანოს 886 მუშა-მოსამსახურე.

მენავიობეთა ამ ვალდებულებებთან და საწარმოში გალილ ფიზკულტურულ მუშაობასთან დაკავშირებით ქვემოთ ვაქვეყნებთ ქარხნის ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორის ა. კურტანიძისა და ერთ-ერთი მოწინავე მუშის — ზ. ჩიქოვანის წერილებს.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 1952 წლიდან ვმუშაობ.

ამ წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენს ძირეულ კოლექტივში, მაგრამ ბევრი სიმსუნის გადალახვაც მოვიხინდა განსაკუთრებით შარშან შეგვიფერხდა მუშაობა: სტადიონისა და რიგი სხვა საქირო სპორტული ბაზების უქონლობას დაემატა ისიც, რომ ჩვენა სპორტდარბაზი კულტურის სასახლეში გადაკეთდა კინოპაილიონად; ჩვენ კი გადმოგვეცა კინოპაილიონის ძველი შენობა, რომელიც მოათხოვდა რეკონსტრუქციას, ამან გამოიწვია ზოგიერთი სპორტული სექციის გაუქმება, ვინაიდან არ იყო სპორტული დარბაზი, სადაც

უნდა გიყვარდეს შენი საქმე

შეიძლებოდა ჩატარებულიყო სწავრთვლი ვარჯიშები. პალ-ლონეს არ ვიშურებდით და როგორც ხელმძღვანელები, ისე სპორტსმენები თავისუფალ დროს თავდადებით ვმუშაობდით სპორტული ბაზების მშენებლობებზე.

და აი, შედეგიც: მალე საქმპ-ლოატაციოდ გადაეცემა როგორც სპორტდარბაზი, ისე სტადიონიც. მაშინ შესაძლებლობა გვაქნება მთელი სისრულით გავშალოთ სპორტული მუშაობა.

სამთარში სექციების მუშაობა; თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი კალაპოტი მიღის, წყნარად და უპრეტენზიოდ. ზღბულში კი ფიზკულტურულ ცხოვრებაში უფრო მეტი საცოცხლე, მოძრაობა, ინტენსიურობა და ენსტრუქტორს, მეთოდისტს თუ მწვრთნელს სამშაგავდ მუტე შრომა მართებს.

განსაკუთრებით ძნელია ჩვენს პირობებში მუშაობა, რადგან სამცვლიანი საშუაოა და ძნელი ხდება სპორტსმენთა შეგროვება მეცადინეობის ჩასატარებლად. ზოგჯერ საზოგადოებრივი მწვრთნელები და სექციის ხელმძღვანელები კვირათბიდაც ვერ ახერხებდნენ სპორტსმენებთან მუშაობას,

გასულ წლებში ჩვენ ასეთიანი გზით ვეცადეთ მდგომარეობის გამოსწორებას: მოვამზადეთ თვითვე სპორტულ სახეობაში რამდენიმე საზოგადოებრივი მწვრთნელი იმ მიზნით, რომ თუ ერთი არ იქნებოდა წვრთნის დროს, მეორე ჩატარებდა მუშაობას. მაგრამ ამან მთლიანად სასურველი შედეგი არ გამოიღო.

ამ დღებში ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ განიხილა ეს საკითხი და გადაწყვიტა: ყოველი დახელოვნებული სპორტსმენისათვის შედგეს ინდივიდუალური სასწავლო-საწვრთნელი გეგმა, ამ სპორტსმენს მიემარგოს ახალბედა სპორტსმენი, ხოლო ამასთან, ყოველ სექციას ყავდეს თავისი საზოგადოებრივი მწვრთნელი.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი რიგების ზრდას, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ახალ-ახალი კადრების მიზიდვას.

ჩვენ ხშირად დავდივართ ქარხნის საამქროში და ვარჩევთ სასურველ კადრებს.

მინდა ერთი მაგალითი მოვიყვანო საკუთარი გამოცდილებიდან.

ეს იყო 1959 წელს, თებერვალში: მეორე საამქროში მოხვდით. ვხედავთ ოპერატორის მოადგილედ მუშაობს ფიზიკურად კარგად განვითარებული, ჩასხული ტანის, მხარბეკიანი ქაბუკი. განვცვიფრდით, როცა ამ ვაჯკცმა დაინადვარის ორ-მოცმეტრანი კიბე რამდენიმე წამ-

ში აირბინა. გამოვესაუბრე. აღმოჩნდა, რომ ის ახლახან ჩამოსული-

ყო სამტრედიის რაიონიდან. სახელი და გვარი ვკითხე.

— გურამ ქანტურია, — მორცხვად მომიგო და მუშაობა გააგრძელა.

გურამს ვესაუბრე, რჩევა-დარიგება მივეცი და დავითანხმე სექციაში ევლო. მალე გურამ ქანტურია ყოველმხრივ განვითარებულ სპორტსმენი გახდა.

ასევე მოვიზილეთ გურამის უმცროსი ძმა გივი ქანტურია, რომელიც ვარჯიშობს ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.

კიდევ ვინ მოთვლეს, რამდენია ასეთი!

უნდა გიყვარდეს შენი საქმე და ყველაფერს გააკეთებ — ამ დევიზით იბრძვის ახლაც ჩვენი კოლექტივი პარტიის ყრილობის შესახვედრი ვალდებულებების განადგობისათვის.

ა. კურტანიძე,
ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი.

სპარაშიაზა: ზევით ქარცხნივ — მენავთობე მოკრივეები ზ. ჩიქოვანი და ა. მოლგოვი ვარჯიშობ (მარჯვნივ) — ქარხნის ფრენბურთელთა მწვრთნელი ზ. დანელიაქაბშიც არ იფიქრებს თავის უმცვალეობას; ქვევით — მეორეთან რიგისანი კალათბურთელი ჯ. დარჩია, რომელიც შრომაშიც მოწინავე და სპორტშიც.

ფოტო რ. ჩიჩუა

განყოფილებებისთვის მასალაში მითამაზავე ჩვენსა საკულტურულ პროესაონდებში ახალ-დაში რ. ჩიჩუა.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

1 მარტი

Table with 6 columns: Name, W, L, D, Goals, Points. Lists various football matches and results.

Table with 6 columns: Name, W, L, D, Goals, Points. Lists various football matches and results.

„ტრუდი“ (გორი) — „სპარტაკი“ (ვილინი) — 6:0
„ავანგარდი“ (ზარკოვი) — „ზახტორი“ (ხალინი) — 3:2

საერთაშორისო მატჩი

ფრე

ქუთაისში

გუბის ქუთაისში ჩატარდა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში...

ანგარიში გაიხსნა მეორე ტაიმის მე-15 წუთზე — გომელაური, მაქარაშვილი...

ლ. ფაჩუაშვილი

საქართველოს სსრ-ის სპორტის მინისტრის განცხადება

მარცხენა ხარვეზები იზოლაციაში

თბილისი. „ბურვეტნიკის“ სტადიონი, 19 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი) — 1:1 (0:1).

სამ: სკარლინი; გუშინი, ნოსოვი, აფონინი; ჩერტოვი, შიკუნი; სტრუნი, ანდრეიკო, პო...

გუშინდელი მატჩისათვის როსტოვის არმიელებს ისეთი მდგომარეობა შეექმნათ, რომ პათ უკან...

ნეფელნიკი, კოპაევი (ლევინკო), მოხალევი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ჩოხელი, თორაძე, ხოქოლაძე; ზეინკლიშვილი, იამანიძე; დათუნაშვილი, ბარქაია (მელაშვილი), კალოევი, გ. ხვიჩიაძე, შესხი.

შეგვივინე ცხრილის შემოწმებაში მოხვედრას.

ამიტომ მოსალოდნელი იყო რომ არმიელებს თბილისის მატჩში ჩააქსოვდნენ ყველაფერს, რაც კი მათი შესაძლებლობების ფარგლებში იყო და ეს ასეც მოხდა.

თბილისის დინამოელებზე კი ამას ვერ ვიტყვი. მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ ისინი სრული სიძლიერით არ იყვნენ ჩაბმული გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რომ გუნდს პოტენციაში კიდევ დარჩა ძალები და მოთამაშებმა გაახალგაზრდა თან წაიყვიეს გამოყენებული ნერვოზი და შეიძლება მონდობა...

კი ძვირად უჯდებათ უკან ხაზის მოთამაშებს, რომლებსაც ბარქაიას პასიურობის შედეგად სისტემატურად ჰყავთ წინ ზედმეტი თავისუფალი მოწინააღმდეგე.

ეს შენიშვნა მხოლოდ ბარქაიას არ ეკუთვნის, „დინამოს“ სხვა ფორვარდებზეც კრიტიკა ამავე „შეცხმუშაოს“ და საშუალებას იძლევენ მოწინააღმდეგეს თავისი საჭარბო მოედნიდან წამოიწყოს სწრაფი კონტრშეტევა.

დინამოელები საკმაოდ ფრთხილად აწარმოებენ იერიშებს, მაგრამ მათი დიპაზონი მიიწვინისაზღვრება მარჯვენა გარემორბიდან მარცხენა შუამარბამდე, ბურთის გათამაშება, კომბინაციები, საერთო ურთიერთმოქმედება წარმოებს მარცხენა ფლანგის გარკვეულ ზონამდე, აქ კი ყველაფერი ეს წყდება და მესხი ფაქტურად იზოლირებული რჩება თავისი პარტიზანული მარტოობით, თვით მესხი არ შემოდის ცენტრში, იზღუდება ვიწრო ტერიტორიით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავდასხმის სხვა მოთამაშებმა ხაზი გაუსვან მის ამ ნაკლოვანებას და ნაკლად დაამჩნიონ იგი თამაშს. პირქით, მესხის შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, მისი ტალანტი იმდენად მრავალმხრივია, რომ გუნდისათვის ფასდაუღებელი სამსახურის გაწევა შეუძლია.

საერთო ტერიტორიული უპირატესობა უდავოდ დინამოელებს ჰქონდათ დასაწყისიდანვე, მაგრამ სტუმრები ეფექტურად ასორციელდნენ კონტრეიერიშებს და სწორედ ისე გაიტანეს კადეც მთლიანი მე-11 წუთზე (სტრუნი), საბასხო ბურთს „დინამომ“ მიადწია 54-ე წუთზე კალოევის მიერ

უმალესი ოსტატობით შესრულებული თეური დარტემის შედეგად, მიუხედავად მთელი რიგი სასიფათო მომენტებისა ორივე გუნდის კართან, ეს ანგარიში აღარ შეცვლილა — 1:1.

აუცილებელი აღნიშვნის ღირსია პ. კახაიას არაკვალიფიციური, შეცდომებით აღსავსე მსჯობა.

3. ბარქაია, სპორტის ოსტატი.

ბ. შირაძე, ამჟვე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა მოიგეს როსტოველებმა — 3:1.



გორის ბაზმულის ქსოვილების კომბინატის ქაის პიონერთა ბანაკში კარგად არის გაშლილი სპორტული მოწყობა. პატარები გატაცებით თამაშობენ ფეხბურთს, ფრენბურთს, კალიბურთს და შაგის ჩოგბურთს.

სურათზე: პიონერები ფრენბურთის თამაშის დროს.

ფოტო ი. ადამოვიძის.

გათამაშების კალენდარი

სსრ კავშირის პირველთაშაზა ფეხბურთში „ბ“ კლასის მოპაპირა რეპუბლიკატა I და II ზონაში საპარტიკული გუნდებისათვის

პირველი ზონა ივლისი

23. რედი (რიგა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), სკვ (ტალინი) — „დინამო“ (ბათუმი), „ბანგა“ (კალენასი) — „რიწა“ (სოხუმი), 28. „ბანგა“ (კალენასი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), „სელმაში“ (ლიეპაია) — „რიწა“ (სოხუმი).

აპრილი

2. რედი (რიგა) — „რიწა“ (სოხუმი), „სელმაში“ (ლიეპაია) — „დინამო“ (ბათუმი), 8. რედი (რიგა) — „დინამო“ (ბათუმი), სკვ (ტალინი) — „რიწა“ (სოხუმი), 13. „რიწა“ (სოხუმი) — კრ. ზნამია (ვიტებსკი), „ბანგა“ (კალენასი) — „დინამო“ (ბათუმი), 17. „სელმაში“ (ლიეპაია) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), 20. „რიწა“ (სოხუმი) — „ხიმიკი“ (მოგილიოვი), 21. „დინამო“ (ბათუმი) — ბობრუსკი, 22. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (გომელი), 25. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — სპარტაკი (ბრესკი), „დინამო“ (ბათუმი) — „ხიმიკი“ (მოგილიოვი), 30. „რიწა“ (სოხუმი) — ბობრუსკი, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — კრ. ზნამია (ვიტებსკი), „დინამო“ (ბათუმი) — სპარტაკი (ბრესკი).

მკვლევარების ნორჩებმა

სოხუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეცკორ.) აქ დოსაფის აუზში დამთავრდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ცურვაში, გამარჯვებისათვის იბრძვიან მხოლოდ თბილისის, აჭარის და აფხაზეთის ნაკრები გუნდები და სპარტაკოთა ფსქულტურული კოლეგები. სხვებმა კი რატომღაც არ ისურვეს თავის შეწყობა — სპორტსმენთა მოვლენება, ხოლო აჭარის და აფხაზეთის სპორტსმენები აშკარად არ არიან ფორმაში, რის გამო, თითქმის ყველა ცურვაში უპირატესობა მთლიანად თბილისელთა მხარეს იყო ეს იგრძნობოდა ფინალური შეხვედრების მეორე დღესაც, როცა

8 ვაცურვიან 7 შემთხვევაში გაიმარჯვეს თბილისელებმა და მხოლოდ ერთში — 1.500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაუთმეს უპირატესობა აჭარის გუნდს წევრს ა. სულარიკოს — 21.05.5. (მეორე თანრიგის შედეგი). შედარებით მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ 100 მ ზურგზე ცურვის მონაწილეთ, ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ე. შავდიამ (თბილისი) დისტანცია გაცურა პირველი თანრიგის დროში — 1.20.6 და 3,7 წამით აჭობა თანაგუნდელი, ჩუგუევკიასი. ვაჟთა შეჯიბრებაში სამივე პრიზორმა, სპორტის ოსტატმა ბ. კამეჩკიმ, ე. სიმ-

— 1.14,3 (ყველა თბილისიდან), მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე წასვლის წინ თავიანთ ძალებს ამ შეჯიბრებაზე უკანასკნელად ამოწმებენ საქართველოს ნაკრების წევრებიც. ამ დღეს ქაბუკთა შორის 100 მ ზურგზე ცურვაში ყველასათვის მიუწვდომელი იყო ზ. შილაკაძე (თბილისი), რომელმაც კარგი შედეგი — 1.14,5 წ. აჩვენა. გორელებში უმლოერესნი იყვნენ ნ. კონდრინა — 1.30,2; ც. შანიძე და ნ. ავეტისიანი (ყველა თბილისიდან) — 1.30,5. ბ. კამეჩკი, სპორტის ოსტატი.

„ბარსელონას“ სრული კრახი

ცნობილი ესპანური საფეხბურთო კლუბი „ბარსელონას“ უინანსებელი ერთ-ერთი წინსვლიანი კლუბი იყო. უფრო მეტიც, ესპანეთის არაერთგზის ჩემპიონის მემკვიდრე მართლაც სანსე შექმნილი მწვერთველი ე. ერერასი, რომელმაც ვერ შეძლო ხელთ ჩაეგდო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მ. სანსე ოცნებობდა ვადაბობებინა საფრანგეთის ნაკრების მწვერთველი ა. ბატე, ფეხბურთელები კოპა (საფრანგეთი) და პანაბი (ესპანეთი), რათა საბოლოოდ გაეწოტებინა ანგარიში „რეალისათვის“. ეს კუნძი ყველაზე უფრო სძულთ

ბარსელონაში, ხოლო მის ლიდერს დი სტეფანოს გაუთავებელი სტრეზით ხვდებოდა. მ. სანსე მთელი თავისი სიმდიდრე დაღო სასწორზე. დასაწყისში მას თითქმის გაუმართლა. „ობიექტური“ მსჯელების დახმარებით „ბარსელონამ“ თასის გათამაშებიდან გამოიყვანა „რეალი“ და ფინალში გავიდა, მაგრამ სრული უპირატესობის მიუხედავად დამარცხდა „ბენფიკასთან“. ეს დასასრულის დასაწყისი იყო. გუნდმა დაკარგა ესპანეთის ჩემპიონობა, თასი და კოლოსალურ ვალებში ჩაჯარდა. შექმნილ მდგომარეობაში მ.

სანსე ერთადერთი გამოსავალი დარჩა — გაეყიდა თავისი „ვარსკვლავები“, რომლებიც მას შრავლად ვაჩნდა. ვაჩნდნენ, რომ „ბარსელონას“ 7 ძირითადი თავდასხმელიდან მხოლოდ ერთი იყო ესპანელი — სუარესი, ხოლო დანარჩენები თავის დროზე ოქროს ფასად იყვნენ შეძენილი. ყველაზე მეტი მუშტარი მიიწი სუარესს გამოუჩნდა, რომელიც მიმომხილველთა აზრით დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. იგი მილანის „ინტერნაციონალში“ აღმოჩნდა თავის

ძველ მწვერთველ ე. ერერასთან, როგორც რომის ვაჩნეთი „უნიტა“ იუწყება, ამ დღეებში იტალიის პირველი ლიგის კლუბმა „უდინეზემ“ შეიძინა უნგრელი კოჩიშა და ურუგვაელი ვილარელდე ციბორი გადავიდა „პალერმოში“, ხოლო კუბალა — „რივერ პლატაში“ (არგენტინა). „ძველი გვარდიიდან“ ესპანეთის ექს-ჩემპიონს შემორჩნენ მხოლოდ ტეხადა (მარტინესი) და ბრაზილიელი ვარესტო. ამგვარად, ესპანეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა კლუბმა „ბარსელონამ“ სრული კრახი განიცადა.



ამ დღეებში შედგა პირველი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში მსოფლიო პირველობაზე იმ წევრში, სადაც გაერთიანებული არამ ბოლივიისა და ურუგვაის გუნდები. ბოლივიელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ურუგვაის ნაკრები და ვრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1.

ჩვენი სასიქადულო პოეტი ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდობის წლებში დიდად გატაცებული ყოფილა კრივით, ჭიდაობითა და ნიშანში სრულით. მწერალ სანდრო მანშიაშვილის შამა — ილია მანშიაშვილი (რომელიც იმ დროს თელავში სწავლობდა) ასე გვიხსენიებებს ვაჟა-ფშაველას: „ბოკერივით ბიჭი იყო, ძვალმავარი და ღონიერი, იმ დროს თელავში ჭიდაობა და კრივი დიდ წარმატებაში იყო. განსაკუთრებით კრივი იყო დიდად მოსახილოდი. კრივში ჭერ ბავშვები გამოყავდათ, შემდეგ მოზრდილები და ბოლოს ვაჟაკები ჩაერეოდნენ. „ვაჟია ფშაველი“ (ასე ვეძახდით) უფროსი მოწაფეების ფალავანი იყო ჭიდაობაშია და კრივშია.“



ნაობლით ვაჟა-ფშაველა და მკვილაცამ ჩვენ პირდაპირ, ვალბა ტანისამოსი გაიხადა, გაიმართა თავ-კისერზე და ჩვენსკენ გამოცურდა. გამოვიდა ნაპირზე და დაყარა ტანისამოსი... ვაჟამ დაიწყო უთხრა: „ბიჭო, იქ ვეღარ ეტეოდი, რომ აქ გამოცურდიო?“. „ვა, შენთან საჭიდაოდ მოვედი, აი“, — უპასუხა მან. — „შენ რა ხარ, რომ მეტიდაო“, — უთხრა ვაჟამ, —

„ბევრი შენისთანა მინახავს, მომიქეშია კიდეც, რა თავი მოგწონსო!“ — დიწვად მივიდა ვაჟა, სტაცა ხელი (ორივე ტიტველა). ისაც წაუჭიდა. ცოტა ხანიცა და ვაჟამ მობლუჯა მაგრად... მოიქნია და მტკვარში ვადაუძახა. უცნობმა რამდენჯერმე წყალი ჩაყლაპა და ძლივს გამოვიდა ნაპირზე.“

ვაჟა-ფშაველა საუკეთესო მსროლელი ყოფილა, რის გამო მრავალჯერ მიუღია ჯილდო. როგორც ვაჟას თანამედროვე კონსტანტინე კავსაძე გადმოგვცემს, „ხევესურეთის სოფ. ხანაბაში ყოველ წელს იმართებოდა დღეობა, სადაც მიცვალებულის პატრონებს საწინააღმდეგო და დოლისათვის სხვადასხვა საჩუქრები შეკვრის მოსაგონად და პატივსაცემად მიჰქონდათ ხოლმე. — ხალხის, ფარდაგს, ძროხას, ცხვარს, თხას, ხურჯინსა და სხვა ნივთებს მიადებდა ის, ვინც ნიშანში მთარტყამდა ტყვიას და ან დოლში გაიმარჯვებდა. ვაჟა ამისთანა დღეობას უსათუოდ უნდა დასწრებოდა. გავემზავრეთ ხახბატში, სწორედ იმ დროს მივედით, როცა ხალხი სუფრასთან სხდებო-

და, დავეინახეს თუ არა, ხევესურნი მაშინათვე ჩვენსკენ წამოვიდნენ... ჩქარა მიგვიპატოეს სუფრაზე, გავემასპინძლდნენ, როგორც კი შეიძლებოდა. შევსვით მრავალი ლუდი და არაყი. შემდეგ გაიმართა ნიშანში სროლა... ვაჟას აუხსენს ნიშნის სივრცე, რგოლები მნიშვნელობა და რომელი ნიშანი რა საჩუქრით ჯილდოვდებოდა. ყველამ თოფები მოიმარჯვა, დაიწყეს ჩახმახების ჩხაკჩხუკი. ვაჟამაც საბუღრიდან ამოიღო თოფი და... დაიწყეს სროლა. ხევესურნი, საერთოდ, დიდი თუ პატარა თოფს კარგად ისვრიან, მაგრამ არც ვაჟა გამოდგა ნაკლები მსროლელი... ესროლა ვაჟამაც და პირველივე ტყვია მოხვედრა ნიშანს... ხევესურთ შეექმნათ ლაპარაკი და ქება-უაყისი. ვაჟამ მხოლოდ ერთი სიტყვა „ბიჭუა იყისო“.

ვაჟა-ფშაველას ამგვ დროს ნადირობაც დიდად ჰყვარებია. იგი არა მარტო ფშავსა და ხევესურეთში, კახეთშიც ხშირად ჩადიოდა საწინააღმდეგო.

ერთხელ ვაჟა და ბაჩანა თავის სიძეს ეწვივნენ ყვარლში და საწინააღმდეგო ერთად წავიდნენ. ვაჟას დისწულის, მიხეილ რაზიკაშვილის გადმოცემით ვაჟას ამ ნადირობის დროს ორი დათვი მოუკაფეს, ბაჩანას კი არც ერთი. ვაჟა ამშვიდებდა: ნუ წუხარ, ძმაო, მეორედ რომ წამოვალთ აინახალურებო, და ლექსით უთხრა: „ნადირი, მონადირესო, მთას წახვალ, გეხედებო. დღეს თუ არ მიკალ ხვალ მიკალე აურ არ დაგეხედაო!“.

„იზაია, 1961 წელი“
 ასეთი სახელწოდებით ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს „სანტოსმა“ (ბრაზილია), „რივერ პლატამ“ (არგენტინა), „რესინგმა“ (საფრანგეთი), „სპარტაკმა“ (ჩეხოსლოვაკია) და იტალიის ფეხბურთელთა გუნდებმა — „იუვენტუსმა“, „ინტერნაციონალმა“, „რომა“ და „ნაპოლი“.

ტურნირი მოიგო „სანტოსმა“ მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ „ინტერნაციონალ“ და „რივერ პლატა“.

პროტესტის ნიშნად

საქვეყნოდ ცნობილი ნიავარის ჩანჩქერის დაპყრობა აქამდე და მანამ მხოლოდ ოთხჯერ მოახერხა. და აი, 15 ივლისს გამოჩნდა მებუთეც. 30 წლის ნიუ-იორკელ ზანგი ნატან ბოია ჩაქადა დიდი რეზინის ბურთში და ამხანაგების დახმარებით 48 მეტრის სიმაღლიდან გადაეშვა ნიავარის მრისხანე ჩანჩქერზე. ეს მან გააკეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამეფებული რასობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად. მშვიდობიანად დაშვების შემდეგ ბოიამ განაცხადა, რომ მან ეს გამირობა იმიტომ ჩაიდინა, რათა დამატოცოს, რომ ჩანჩქერს მარტო თეთრებს არ ეკუთვნის იგი ზანგების კუთვნილებაცაა.

ორი დღის შემდეგ იგი ასეთ მამაცობისათვის ამერიკულმა „მართლმსაჯულებამ“ 100 დოლარი დააჯარიმა. ბოიამ ჯარიმა გადახადა, რადგან ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი ერთ თვით ამოჰყოფდა თავს საპატიმროში.



ს ა ნ ა დ ი რ ო დ

არაგვზე იყო უინულის სისქემ და ლანქერებად თოვლი ატირდა, ვაჟამ გასწია არხოტის მთისკენ ხოცვად შურთხთა და ხოცვად ნადირთა.

არ დაერიდა მგზავრი არაფერს, ნებას მიუშვა ცხენი სადარი. სადაც ზეცამდის აწვილ ქარაფებს რქით დაეკიდა ჩიხვი სახარე. უმიწნებს კიდეც, მიღულავს ცალ თვალს, ვაი, ხარჩიხვის დედა საბრალო — რას სჩადი, შენ ხომ სიცოცხლევ გწამდა, —

თითქოს მოსძახის კლდეთა ნაპრალი... ჩიხვებმა ისევ კლდისა პირს შეჰყვნენ, საუბრობენო თითქოს ნიავთან. არა, არ ესერის, არ მოჰყლავს ბერხენს,

მათი გულისთქმა ესმის ნიადავ:

მათაც ახარებთ მოსვლა აისის, ისუნთქონ მთების ჰაერი უხვად — რად ვესროლოო, — ფიქრობს თავისთვის, —

მათაც სიცოცხლე ჩვენსავით უყვართ! ბნელში ისმოდა ნალთა წკარუნი, ვაჟა ჩარგალში დაბრუნდა ახე, განა მხდალი და ხელმოცარული — სიცოცხლისადმი ტრფიალით ხავსე! წუთით დაღლილი წამოწვა მარტო, შუბლს უფრიდებდა ცვარი ციმციმა: — ნურავინ მკითხავს, ჭავბრუნდი რატომ,

რატომ? — მე თვითონ არა ვიცი რა... ჩიხვებმა კლდენი ბერჯერ დასერეს, შმაგი არაგვიც ბერჯერ ადღდა, — ვაჟა კი, ვაჟა თურმე მას შერე, აღარ წახულა ხოცვად ნადირთა!

ი. პარაპული

საკავშირო ფედერაციული მოსკოვი. (ჩვენი საკ. კორესპონდენტი) გაიმართა ცურვის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის მორაგე სხდომა, რომელმაც გადაახლისა საბჭოთა კავშირის ნაკრები და მწვერთველთა შემადგენლობა. პრეზიდიუმის დადგენილებით მწვერთველთა საკავშირო საბჭოს მიერ დამტკიცებული წვრთნის გეგმების შეუსრულებლობისათვის ნაკრებიდან გამოყვანილი იქნენ გ. პროკოპენკო (ლეოვი, „დინამო“) და ლენინგრადელი ვ. სოროკინი, სპორტ-ტექნიკური შედეგების გაუარესებისათვის — ლ. ჩუშნინა („დინამო“, მოსკოვი), ა. სტარკოვი („სპარტაკი“, ასტრახანი), ა. სიმონოვი („ლოკომოტივი“, მოსკოვი), ე. მარგო („დინა-

მო“, ლენინგრადი), ა. რიბიკი („სპარტაკი“, კიევი), ა. ანტონიანი („დინამო“, ბათუმი).

მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მოღვაწეობისათვის მწვერთველთა შემადგენლობიდან გამოყვანილი იქნენ: ს. ბოროდრაკი („სპარტაკი“, კიევი), ა. ლალევი („სპ. რეზერვები“, მოსკოვი), ა. სპირინოვი („ლოკომოტივი“, ტაშკენტი), ბ. სკოკოვი („სპარტაკი“, ასტრახანი), ი. სუჩკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), ვ. სოლოხარი („დინამო“, ტალინი), ლ. იოაკიმიდი („დინამო“, თბილისი).

დამტკიცდა მწვერთველთა ახალი შემადგენლობა, რომელშიც თბილისიდან შეყვანილია ა. საფრონოვი („სპარტაკი“),

რედაქტორი ი. უზულაძე.

ს ა კ რ ე ბ ა

დ ლ ე ს

პროფესიონალ ნიუზ-ბიუროს ბათუმის განყოფილება

მსოფლიოს მას-ჩემპიონი

ჯეპ კრამერის (აშშ) მონაწილეობით

დასაწყისი 19 საათზე.